1889 წელსა, № 20 30 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1889

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით	5 მან.	12 თვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

კურთხევა თეკლათის დედათა მონასტრის ეკლესიისა პირველს ოქტომბერს 1889 წელსა (საამეგრელოში).

იმერეთის ადგილობითი ეპარქიის სასულიერო მთავრობის მოხსენებით უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა ცაიშის და თეკლათის მამათა მონასტრები გააუქმა 21 ოქტომბერს 1883 წელსა და ნაცვლად ამ ორის მონასტრისა ადგილობითი სასულიერო მთავრობის შუამდგომლობისამებრ თეკლათში დააარსა 30 ივნისს 1884 წელსა დედათა საზოგადო საცხოვრებელი, სადაც მსურველთა შეუძლიათ მონაზენებრივი ცხოვრება. უწმიდესი სინოდის განკარგულებით ამ დედათა საზოგადო საცხოვრებელს დაენიშნა ერთ დროებით შესაწევნელად ოთხასი მანეთი, ხოლო ყოველ წლობით საეკლესიო ხაზინიდამ მიეცემა რვაას საშოცი მანეთი. ამაებს გარდა ამ დედათა საზოგადო საცხოვრებელს მიენიჭა ადგილ-მამული და მიწები, რომელნიც წინეთ ეკუთვნოდენ ცაიშის და თეკლათის მონასტრებს. თეკლათის დედათა საზოგადო საცხოვრებლის დამტკიცებისათანავე მასში შეიკრიბნენ მრავალნი დედანი. თეკლათში იყო პატარა ეკლესია, რომელიც სრულებით არ შეეფერებოდა ამ ადგილს. დიდი ღვაწლი და შრომა მიიღეს აქ შეკრებილ მონაზონთა შესაფერისი ეკლესიის აშენებისათვის. ადგილობით მღვდელთ-მთავრებმა გულმხურვალე მონაწილეობა მიიღეს ხსენებული ეკლესიის აღშენების საქმეში და ამნაირად ხაზინის ფულიდგან ერთი კაპეიკის დაუხმარებლად კეთილ-მნებელთ მობოჭილ ფულთაგან აღშენდა ჩინებული ქვიტკირის ეკლესია.

აი ამ ეკლესიის კურთხევა შესრულდა მისი ყოველად უსამღვდელოესობის ზურია-მინგრელიის ეპისკოპოსის გრიგორისაგან. მისი ყოველად უსამღვდელოესობა თეკლათში მიბრძანდა 30 სექტემბერს თავისი კრებულით. საღამოს ახალს ეკლესიაში შეასრულეს მწუხრის ლოცვა ლამისთევის ცისკრით. ლოცვაზედ გალობდნენ და ეხმარებოდნენ თვითონ მონაზენები. ზანსაკუთრებით სასიამოვნო იყო მონაზენების გალობა.

პირველს ოქტომბერს ცხრა-საათიდგან დაიწყეს ეკლესიის კურთხევა; ეკლესიის კურთხევის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო წირვა, რომელიც გათავდა თორმეტ საათზედ. ეკლესიის კურთხევაზე და წირვაზე მრავალი ხალხი დაესწრო. წირვის დროს ერთ მხარეზედ კალობდენ მონაზონები და მეორეზედ მამა კაცები. წირვის გათავებისას მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ბურიას-საქართველოის ეპისკოპოსმა ბრიგორიმ წარმოსთქვა შემდეგი გრძნობიერი სიტყვა:

«ერთსულ მცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ რქვა მოციქულთა: რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა მოსვლაი, ურჩ ქმოვენ თავი თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემოიდეგინ მე». (მარკ.. 8. 34). სწორედ ამ წამიდგან იწყო არსებობა ქვეყნად მონასტრებრივმა ცხოვრებამ. ვეთნიმე შეუდგებიან ქრისტესა კეთილ მოქმედებითა თვისითა, იბრძვიან და განმტკიცებენ სასიათითა თვისთა და სიშვალ ვნებათა, და ბოროტებათა, ზაკვთა და განკითხვთა განსორციელებენ ცხოვრებითა თვისითა სწავლასა მცხოვრისასა. უფრო სუსტნი კი შეუდგებიან ქრისტესა ურის ოთეითა ამა ქვეყნისათა, იგინი არ არიან მედგარნი მომქმედნი აგარაკსა ზედა ქრისტესა, არ არიან ქრისტიანობის მოწინააღმეებრ მოლოდნი, იგინი შეუდგებიან ქრისტესა მარხვითა, ლოცვითა, მოთმინებითა და ამა ქვეყნის მოშორებითა; «ნეტარ არიან ორნივე ესენი, რამეთუ სასუფეველნი მათნი დიდ არ ან ცათა შინა; ორნივე ასრულებენ ბრძანებასა მცხოვრისასა. მცხოვარი იტყვის სიტყვითა მოციქულისა და მსარებელისა მათისა: დღიდგან ეიანნე ნათლის მცემელისაა, ვიდრე აქამომდე, სასუფეველი ცათა აიძულების, და რომელნი აიძულებენ მაი, მაიტაცონ იგი. (მათე, 11, 12).

ესე იგი სასუფეველი ცათა უნდა დაიმკვიდროს კაცმან ძალით, მცდელობათ, მოღვაწეობით. ზეცათა განსვენება უნდა დაიმსახუროს კაცმან როგორც სასუფეველი ამა ქვეყნის მოქმედებისა, ვინც არ იმუშავა ამ ქვეყნად, ის არც იმ ქვეყანაში ელირსება ჯილდოს, სასუფეველის ნეტარებასა; რა არის უარ-ოთეა თავისა თვისსა შესაფერი იმ პირთა, რომელთაც აღუარჩევიათ ცხოვრება მონასტერთა შინა, და კერძოთ უარის ოთეა თავ სა თვისსა დედათ მონასტრის დედათაგან. სამნი არიან საფუძველი მონაზონთა ზნეობისანი: ქალწულება, მარხვილება და უანგარობა.

ქალწულება მარტო იმაში კი არ მდგომარეობს რომ ქალი ქმარს არ გაჰყვეს და მრუშებაში არ ჩავარდეს, ქალწულება ის არის, რომ ქალმა არ შესცოდოს ფიქრითაც, რომ იმას ჰქონდეს განშორებული გული. ან ოთეული ბოროტი ვნება. მონაზონი უნდა იყოს ქალწული არა მხოლოდ სორცითა, არამედ სულითაც; «ნეტარ იყვნენ წმიდანი სულითა, რამეთუ მათ დმერთი ის ლოთ, ბრძანებს მაცხოვარი».

მორჩილება არის არა აქმარტავანება, არცა მედიდურება, არცა თავის მოუვარეობა, არამედ გაგონება და დაჯერება სხვათა, აღსრულება კეთილთა რჩეკათა, მსახურება მოუკვსთა. ოთეული დედათაგანი მონასტრისა უნდა სცდილობდეს მარად ყამ ერთი მეორის მსახურებას და მორჩილებას. საცა ოთეული ადამიანი თავისი ნებით და ფიქრით დაიწყებს ცხოვრებასა, საცა არ არის ერთი მეორის გაგონება, იქ არ შეიძლება სუფევდეს სიზოგადო ცხოვრებაც. უანგარობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არავის დედათაგანს არ უნდა ქონდეს არავერი მეტი, არამედ არც კი უნდა ისურვონ მათ მეტის ქონება.

«ვერვის სელმწიფებისა ორთა უფალთა მონებად»: ანუ ერთი იგი მოიძულოს, და «სხვა იგი შეიყვარნოს, ანუ ერთისა მის თავს იდგას და ერთი იგი შეურაცხ ჰყოს, ვერ ხელმწიფებისა ღვთისა მონებად და მამონასა» (მათ. 6. 27).

დედათა საკანე არის საზოგადო საძოფი ადგილი და თუ თითოეული დედათაგანი იზრუნავს იმაზე, რომ შეიძინოს რამე ნივთი საკუთრად, მოიწყოს საძოფი თავისებურად, მაშინ საზოგადო ცხოვრებაც არ იქნება იქ, საცა ოთეული სული ერთგვარად უნდა სცხოვრებდეს; ანგარება უნდა გაიხადოს მონასტრის დებმა იმ ტანისამოსთან, რომელსაც იგინი სტო�ებენ სოფელში, მონასტერში იმის შეტანა შეუძლებელია; მაცხოვარმა ვერცხლის მქონე მდიდარს რქვა: «ოთეული, რაცა გაქვს, განიყიდე, და მიეც გოსაკთა, და გაქნდეს საუნჯე ცათა შინა: (ლუკ. 18, 22).

შეუერთეთ მას ის მეცადინეობაც, შემოიგრიბეთ ამ მიყრეულებულ მსარეში მცხოვრებთ ასულნი, უსწავლელნი, რომელთაც არა იციან სჯული ღვთისა და არცა საკმარო ლოცვები, რომელიც თვით უფალმან მისცა მარხოლ-მადიდებელ ქრისტიანეთა. ასწავლეთ მათ ლოცვა და სჯული ქრისტესი, და საკმარო საგნები კერვა-ქრა და ქარგვა. ქრისტეს ძველი მოუკვარე დები ასრე შრომობდნენ და კიდეც მათი სელობა და ნაშრომი დიდ განძად აქვს ჩვენს ეკლესიას, და მეისტორიენი დიდი პატივით იგონებენ იმ დედათა, რომელთაც ასრეთი ძვირფასი სელობა დაუტოვეს ჩვენს საშობლოს, დღეს ეს სელობა რომ არ დაეკარგოს ჩვენს ერს. და განასდეს მზგავსი სელობის შემუშავება, შეუძლიათ განსაკუთრებით დედათ მონასტრებს და მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა შეკრებილ დათა, ამითი დიდ სამსახურს გაუწევთ სამშობლოს, თვით გაერთობით მოღვაწეობაში და ხელობაში და სხვათაც ასწავლით და აშორებთ ყველას სოფლის ამაოებას, ამას რა ყოფვათ, დაიმსახურებთ უფლის სიტყვას, „რომელმან ჰყოს და ასწავლოს, დიდ ქწოდოს სასუფეველსა ცათასა“ დანო და დედანო, დაიმარხეთ მტკიცედ ესე ზნეობა მონაზვნისა, დღეს მადლითა ღვთისათა, თქვენს ლოცვას აღუშენდა ბინა, ეს დიდი ბედნიერებაა თქვენთვის, რომ თქვენის მეცადინეობით და ლოცვით აშენდა ეს ტაძარი, სადა შეწირება უსისხლო მსხვერპლი; მეც ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ღირსი ვიქმენ ამ ტაძრის კურთხევისა. — ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო, ეს ტაძარი შენს სახელზედ აღშენებული და შენ იყავ შემწე და მფარველ და მეოხი წინაშე ძისა შენისა, და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ყოველთა ამა მონასტრის დედათა თვის და შემწეთა ამა ტაძრის აშენებისა. ამინ.

წირვის გათავების შემდეგ მღვდელ-მთავარი მისი კრებულითურთ და მრავალნი პირნი, რომელნიც ეკკლესიის კურთხევას დაესწრენ, მიწვეულ იყვნენ სადილზე მონასტრის იღუმენიასა და დათაგან. სადილზედ წარმოითქვა სადღეგრძელოები, რომელნიც დიდის თანაგრძნობით იყვნენ მიღებულნი ყველა დამსწრე პირთაგან. პირველი სადღეგრძელო წარმოითქვა ხელმწიფე იმპერატორისა, რომელზედაც იგალობეს ხელმწიფის ლოცვა «უფალო, აცხოვნე ერი შენი». შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს არქიეპისკოპოსის პალლადისა, რომელიც დიდის აღტაცებით იყო ყველასგან მიღებული. შემდეგ ამისა წარმოითქვა სადღეგრძელო ყოვლად სამღვდელო გურია-მინგრელიის ეპისკოპოსის გრიგორისა და იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა და სხვა წარჩინებულთა პირთა. სხვათა შორის დალიეს სადღეგრძელო დეკ. დ. ღამბაშიძისა, რომელიც ამ დროს დაესწრო აქ ეკკლესიის კურთხევას. მადლობის გადახდის შემდეგ დეკ. დ. ღამბაშიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: «ბატონებო! გულითად მადლობას მოგახსენებთ სადღეგრძელოსთვის. დიდათ მოხარული ვარ, რომ დავესწარი ამ მონასტრის ეკკლესიის კურთხევაზე. ძრიელ მსურდა, რომ ეს მონასტერი და ახლად აღშენებული ეკკლესია მენახა და, მადლობა ღმერთს, დღეს ვნახე. როდესაც რუსეთში დედათ მონასტრებს ვათვალიერებდი ხოლმე, ყოველთვის მომაგონდებოდა ჩვენი საქართველოს მცირე დედათ მონასტრები მათში მცხოვრებ მოლაზვნების მცირე რიცხვით. ნიადაგ მაგონდებოდა ამ მონასტრების მდგომარეობა და იმედი მეკარგებოდა ჩვენი მონასტრების მომავალზე. მაგრამ დღეს ამ დედათა საზოგადო საცხოვრებლიდამ და აქაურ დათა ცხოვრების გამოკვლევიდამ ისეთი მშვენიერი და სასიხარულო შთაბეჭდილება მივიღე, რომელიც ჩემთვის ნიადაგ დაუვიწყარი და დიდი სიამოვნებით მოსაგონებელი იქნება. ყველას გაგვეგონება გასაოცარი მოთხრობანი მონასტრებში მოღვაწე პირთა; გაგვეგონება აგრეთვე ზოგიერთ პირთა გასაკვირველი სურვილი ქვეყნიური ცხოვრების დატოვებისა და მონასტრებში ცხოვრების აღრჩევისა. დღეს ჩვენს ხალხს ამისთანა მოთხრობანი ქრისტიანობის პირველი დროისა აღარც კი სჯერა და საეჭვოდ მიაჩნია ყველა სამაგალითო მოთხრობა მონასტრებში მოღვაწე პირთა. ჩემდა გასაკვირებლად ეს გასაოცარი და ზოგიერთათვის საეჭვო მოთხრობანი პირველი დროის მონასტრებში მოღვაწე პირთაზედა დღეს მე განხორციელებული და მტკიცედ აღსრულებული ვნახე ამ დედათა მონასტერში. სხვა მონასტრებში ყოველივე მზად არის, მხოლოდ სურვილია საჭირო მონასტერში შესვლისა... აქ სულ სხვას ვხედავთ. აქ სურვილს გარდა ითხოვება დათაგან, რომ თითოეულმა ხუთას მანეთამდე შემოიტანოს საზოგადო საცხოვრებლის სასარგებლოდ, რომ ამ საშუალებით შეიძლოს ცხოვრება მონასტერში თავის საშუალებით და შრომით. გასაკვირველად აღმოჩენილან მრავალნი, რომელთაც მშობელთაგან შეგროვებული მზითვად ხუთასი მანეთი მონასტერში შემოუტანიათ და მონასტერში ცხოვრება აღურჩევიათ! რომელ ჩვენგანს არ გაუგონია, რომ ძველ დროში ამა და ამ კაცმა ქვეყნიური ცხოვრება დასტოვა და თავისი შვილებით მონასტერში შევიდა და იქ თავის ცხოვრებას ლოცვაში და ღვთის ვედრებაში ატარებდაო. ამის მაგალითს დღესაც ვხედავთ ჩვენ ამ მონასტერში. ნუთუ ამ გასაოცარი ძველი დროის მოთხრობათა განხორციელებას არ წარმოგვიდგენს ჩვენ დიდათ პატივცემული მოხუცებული დეკ. გ. ახვლედიანი თავისი ასულებით, რომელთაც ქვეყნიური ცხოვრება მიუტოვებიათ და მონასტერში ღვთის ლოცვა-ვედრებაში ატარებენ დროს. ჭეშმარიტად სასიხარულო და სასიამოვნო მოვლენაა ეს ჩვენს დროში!...

რას ამტკიცებს ასე თავგანწირულებითი შრომა და მეცადინეობა დათაგან ეკკლესიის აღშენებისათვის,

თუ არა მათ მხურვალე სარწმუნოებას, სასოებას, და ღვთის სიყვარულს. ჭეშმარიტად აქ ყოველს მოქმედებაში ცხადათ სჩანს ცხოველი სარწმუნოება, სასოება და სრული გაბედულობა ქვეყნის დატევებისა, ჯვარის აღებისა და ქრისტეს შედგომისა. აი რამ მოახდინა ჩვენზედ მშვენიერი შთაბეჭდილება. ეს სასიამოვნო შთაბეჭდილება გააორკეცა მშვენიერმა განწყობილმა დათა გალობამ და სამხახურმა წირვა-ლოცვის დროს.

კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდათ მონასტრებს ჩვენი ხალხის განათლებაზედ და სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის დამყარებაზედ. ჩვენი წინაპარნი ამას კარგად გრძნობდენ და არაფერს არ ზოგავდენ ამ კეთილ დაწესებულებათა სასარგებლოდ, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს ხალხს ნამეტნავად გაუგრილდა გული ყოველ კეთილ საქმეზედ. წინანდელ ხარჯს ერთი ასათ უმატებს და შემოსავალიც ხელს უწყობს, მაგრამ ხარჯი მიდის სულ ამაოებაზედ და კეთილ საქმეზედ ძლიერ მცირე ან სულ არაფერი!

რამდენად სასიამოვნოა ამისთანა ჩინებულად აღშენებული ეკკლესიის ხილვა ამ მონასტერში დათა თავ-განწირული შრომით და ღვაწლით, იმდენად სამწუხაროა მის მნახველთათვის სიღარიბე და უქონებლობა უსაჭიროეს ნივთთა. ნუ თუ ყველა ეს სასიამოვნო ხილვა და პატივისცემა დათაგან არ გამოიწვევს ჩვენგან შემწეობის აღმოჩენის სურვილს ეკკლესიის მორთულობისათვის? ნუ თუ ჩვენში სრულებით აღარავინ აღმოჩნდება მიმბაძველი ძველ ჩვენ წინაპართა, რომელნიც მონასტრების და ეკკლესიების შემკობისათვის არას ზოგავდენ? არა. ჩვენ არა გვჯერა, რომ დღესაც არ იყვნენ ჩვენში კეთილ მორწმუნენი და ქველი საქმის მოყვარენი. ჩვენის მხრით ჩვენის ღარიბი ქონებისაგან ვსწირავთ ამ ახლად ნაკურთხ ეკკლესიას კანკელის ხატებს, ტილოზედ დახატულთა, რომელთაც მოკლე დროში გამოვიწერთ რუსეთიდამ... იმედი გვაქვს, რომ ჩვენში დღესაც აღმოჩნდებიან ჩვენ ძველ წინაპართა მიმბაძველნი...

ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლოცვა-კურთხევა და მადლობა გამოუცხადა დეკ. დ. ღამბაშიძეს შეწირულებისა და სიტყვისათვის. «ჩემთვის დიდად სასიამოვნო არის, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, თქვენი აქ მოსვლა ამ დროს. თქვენ ხელთ არის, სხვათა შორის, ისეთი იარაღი, რომელიც ყველას ატყობინებს, რაც კი ხდება ჩვენს საქართველოს და მთელი რუსეთის სახელმწიფოის მართლმადიდებელ სამღვდელოებაში. ამ იარაღის საშუალებით ჩვენი სამღვდელოება ერთი-ერთმანერთს უახლოვდება და ერთი-ერთმანეთს ემუსაიფებიან იმისთანა პირები, რომელნიც მთელ სიცოცხლეში ერთი-ერთმანეთს არ შეხვდებიან. სრული იმედია, რომ თქვენ შეატყობინებთ ყველას დღევანდელს ამ მონასტრის დღესასწაულობას და იმას, რომ საზოგადოება ასე მოხარულია ამ მონასტრის დაარსებით და ეკკლესიის დამთავრებით და კურთხევით. დაარსებისათანავე თქვენი ჟურნალისა გაბედულად გამოაცხადეთ თქვენ, რომ ამ კეთილი საქმის კეთილ წარსამატებლად თქვენ არ დაზოგავთ არც თქვენს ქონებას, არც გონებას და არც სიცოცხლეს. ვინც თვალ-ყურს ადევნებს თქვენს შრომას და ღვაწლს, ის ცხადათ დაინახავს, თუ რამდენად მტკიცედ ადგიხართ თქვენ პირველად გამოთქმულ სიტყვას; როგორ მამაცურად მიგყავსთ იმისთანა საქმე, რომელიც მთელ საქართველოში ვერავის უთავებია. ამასგარდა რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების გავრცელებით ჩვენს ხალხში თქვენ სთესავთ კეთილ თესლს მთელ საქართველოში; ეს მოღვაწეობა საუკუნო მოსახსენებლად დარჩება თქვენი პატიოსანი შრომისა. ღმერთმან მოგანიჭოს სიმხნე და დღეგრძელობა გასაგრძელებლად თქვენგან დაწყებული კეთილი საქმისა და აკურთხოს თქვენი სიტყვა, ვამაღვიძებელი და გამაფრთხილებელი მწყემსთა და სამწყსოთა». სხვა მრავალ შეწირულებასა და დახმარებასა გარდა ეკკლესიის შენობის დროს ყოვლად სამღვდელომ აღუთქვა დიდი კარგად მორთული დღესასწაულის ხატი ცალკე ჩუქურთმიანი და მოოქროვილი დასადგმელით (КІОТЪ). დავით ღამბაშიძისაგან წარმოთქმულ სიტყვას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. იქვე აღმოჩნდენ მრავალნი პირნი, რომელთაც, შეძლებისა-და-გვარად, არ დაიზოგეს თავიანთი წვლილნი. მოვიყვანთ აქვე, თუ ვინ, სახელდობრ, რა შესწირა მონასტრის ეკკლესიის შესამკობად:

ქნეინა ალათი შარვაშიძისამ, დადიანის ასულმა 100 მ., ქ-მა ცესარია ქავთარაძისამ, დიდიან ასულმა 100 მ., დეკანოზმა გრიგოლ მაჭაროვმა 25 მ., მართა თოფურიძისამ ქავთარაძის ასულმა 10 მ., მონასტრების ბლაღოჩინმა ხოპის მონ. წინამ. ბენიამენმა 50 მ., თეკლათის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვ. მ. გ. გვაზავამ 50 მ., ბლაღოჩინებმა ანჯაფარიძემ, ელიავამ, ბერიძემ, ხოშტარიამ და გაწერელიამ 25 მანეთი, აზნაურმა ფარნა გეჩიამ ფულად 2 მ. და ერთი კედ-

ლის დიდი საათი, ბ. დიმიტრი ბრიგორის ძე მხეიძემ თორმეტი კანდელი; არქიდიაკონმა ლუკა ხოშტარიამ 5 მ.; ბლაღ. თანაშემწემ მღვდელმა ათანასე ბიბილუამ ერთ დროებითად ოცი მანეთის საღირალი ნივთი; თავ. მანუჩარ ძოჩაკიძემ აღუთქვა ყოველ წლობით მონასტერს თითო თუმანი; თავ. ივანე ბრიგორის ძემ შარვაშიძემ ერთი წყვილი დიდი შანდლები; აზნაურმა ბრიგორი გატუნიას ძე ჩაჩიბაიამ 6 მ., თავ. ბიორგი ივანეს ძე დადიანმა თხუთმეტი მანეთის საღირალი ნივთი; აზ. ბასა ფულარიამ 3 მ., აზ. ვარდენ სალაყაიამ 3 მ., თავ. ვლადიმერ ძოჩაკიძემ 1 მან., სენაკის მაზრის სამართველოის სეკრეტარმა ნიკო დგებუაძემ 3 მ., ზედა თეკლათის შტატის მღვდელმა ვასილ ხეცურიანმა 10 მ.

ბათავდა თუ არა ფულების შეკრება, წამოდგა იქვე მყოფი მღვდელი მ. კონსტანტინე თოფურიძე და სთქვა: «ძლიერ მოხარული ვარ, რომ ამ ჩვენ საზოგადოებაში აღმოჩნდა ამდენი ქველი საქმის მოყვარული პირი. არ შემიძლია, რომ არ მიეიღო მონაწილეობა ამდენ პატიოსან პირებთან და მეც ჩემის მხრით ამ მონასტრის სასარგებლოდ ვსწირავ ერთი ჩემი დროებითი ვალდებული გლეხის შემოსავალს, რომლიდგანაც შემოვა არა ნაკლებ ოთხასი მანეთისა». ამასთან დანარჩენმა პირებმაც აღუთქვეს თავის მხრით, შეძლებისა გვარად, დახმარება და შემწეობა.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამისთანა სასიამოვნო ამბის წაკითხვის შემდეგ პატივცემული მკითხველებიც მიიღებენ მონაწილეობას შემწირველ პირებთან და თავიანთ მოსახსენებლად არ დაიშურნებენ თავის წვლილს, რითაც შეიძლება. მონასტრისაგან ყოველივე შეწირულება, მცირეც რომ იყოს, დიდის მადლობით იქნება მიღებული.

დამსწრე.

პირველი ოქტომბერი მცხეთაში.

(რუსულიდგან).

პირველი ოქტომბერი საქართველოში—ორგვარი დღესასწაულია: ამ დღეს ღვთის-მშობლის საფარველთან შეერთებულია მაცხოვრის კვართის დღესასწაული... საქართველოს ეკკლესიის გარდამოცემის თქმულობით, მაცხოვრის კვართი, რომელიც დღეს მოსკოვში იმყოფება, 17 საუკუნემდე შეადგენდა კეთილმსახური საქართველოის საკუთრებას. აქ მოიტანა ის მაღე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ვიღაც ელიოზმა; ელიოზს ეს კვართი შეეძინა ერთის მხედრისაგან, რომელსაც იგი წილში რგებოდა. ელიოზი იყო ებრაელი და მცხოვრები საქართველოს ქალაქის მცხეთისა. აი აქ მოიტანა მან ეს ძვირფასი წმიდა ნივთი, მაგრამ განგებას ნებავდა ეს ნივთი ერთ დრომდე დამალული ყოფილიყო ადამიანის თვალისაგან. ელიოზის დამ სიდონიამ, აიღო თუ არა ხელში წმ. კვართი, მაშინვე სული დალია, ხოლო ისე მაგრად კი ჩასჭიდა ხელი კვართს, რომ ნება-უნებლიეთ უნდა ჩაეყოლებიათ იგი მისთვის საფლავში. წმ. მოციქულთ-სწორმა ნინომ, საქართველოს განმანათლებელმა განსაკუთრებითი ღვთის ჩვენებით შეიტყო ადგილი, სადაც დამალული იყო წმ. კვართი და სადაც ამოსულიყო დიდი კედარი (ნაძვი ლიბანისა), და მცხეთაში მოსელისა და მეფე მირიანის გაქრისტიანების შემდეგ, ამოიღო მიწიდგან ძვირფასი სიწმიდე. საქართველოს კეთილმსახურმა მეფეებმა შემდეგში ამ ადგილს ააგეს მშვენიერი ტაძარი, რომელშიაც დაცული იყო წმ. კვართი მეორე საქართველოს სიწმინდესთან ერთად. შემდეგ ამისა ჩვეულებად შემოვიდა საქართველოს მეფეების ამ ტაძარში გვირგვინის კურთხევა და მათი აქ დასაფლავება. ამნაირად ძველ მცხეთას და მის ტაძარს ქართველისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც რუსეთისთვის ქიევსა და მოსკოვს. ეს—გულია ძველი ივერიისა,—შუაგული საცავია მის წმიდანთა—. როგორც საეკკლესიო, აგრეთვე სამოქალაქოთა. თუმცა კვართი სპარსელებმა წარიტაცეს და შემდეგში შახმა აბდული-აბაზმა აჩუქა იგი რუსის მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს,—მაგრამ ჩვეულება მცხეთაში სალოცავად სიარულისა ქართველებს მაინც არ გადაუგდიათ,—და პირველი ოქტომბერი, ადრინდულად იზიდავდა იქ

ურიცხვ მლოცველთა მთელის საქართველოისაგან. მლოცველთა მოსვლას ძლიერ ხელს უწყობდა და უწყობს დღემდიც ის, რომ აღნიშნული დროისთვის ყოველი სამუშაო ანებშიაც და ბაღებშიაც სრულიად თავდება, და ქართველს თავისუფლად შეუძლია მოიხმაროს თავისი დრო.

წელს დღესასწაული ღვთის-მშობლის საფარველისა და მაცხოვრის კვართისა იყო განსაკუთრებით მშვენიერი და იგი იდღესასწაულეს ისეთის ბრწყინვალებით, რაც ჯერ ამ უკანასკნელ დროს არავის უნახავს. ამის მიზეზი, ერთის მხრით, ის იყო, რომ დღესასწაულზედ დაესწრენ საქართველოს ექსარხოსი, ალექსანდრე ეპისკოპოსი და თბილისის უმაღლესი სამღვდელოება, ხოლო მეორეს მხრით პირველად გადახდილი ჯვრით-შესვლა წმ. ნინოს სავანეში და ბრწყინვალედ კურთხევა იქ ახლად გახსნილის საქალო ორ-კლასიანი სასწავლებლისა.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი, საქართველოს ექსარხოსი, სემინარიის რექტორი არქიმანდრიტის ნიკოლოზის და სინოდალურის კანტორის წევრების თანახლებით, მობრძანდა მცხეთაში დღესასწაულის წინა დღესვე. მეორე დღეს, ექსარხოსისაგან მოწვევის თანახმად, მობრძანდა იქვე ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. დღესასწაულობა დაიწყო ღამის თევის ცისკრით საკათედრო ტაძარში. პურის კურთხევა შეასრულეს ტაძარს გარეშე. სურათი მშვენიერი იყო და ამასთან ბრწყინვალეც: ციხის ფართო მოედანზედ, სადაც სდგას ტაძარი, სამხრეთის ღამის ბინდი აქა-იქ ანთებული კოკონებისა და სანთლების სინათლე, ექსარხოსის ხორის დაწყობილი და ტკბილი გალობა, გარეშე შეგროვილი აუარებელი ხალხის მკვდრული სიჩუმე საოცარს შეხედულობას აძლევდა ნელა და დიდებულად მიმავალს ლიტანიას; დიდებული ჭაღარა ძეგლი საქართველოის ძველის კეთილ-მსახურებისა და დიდებისა მცხეთის ტაძარი—ანთებულს ცეცხლებში გამოიყურებოდა კიდევ უფრო დიდებულად, გაჭღალებულ ციხის კედლებს, რომლებს უკან ოდესღაც ხალხი თავს იფარავდა მტრების შემოსევისა და დარბევის დროს, კიდე უფრო პატივსაცემი და საგულისხმო სახე დასდებოდათ, გონება უნებლიეთა შეეპყრო წარსულ საუკუნეთა მოგონებას და გულზეც რაღაც ნაღველი აწვებოდა კაცს; და ლოცვა, მყუდრო და მხურვალე,—ვითარცა ალი სანთელისა სატახტო ქალაქთა და ყოველთა დაბა—სოფელთა და მათ'ში სარწმუნოებით მცხოვრებ ხალხთა ზედა საკმეველის კომლთან ერთად ადიოდენ მაღლა ზეცისაკენ.

მთელი ღამე ტაძარს გარეშემო ადგილობითი ჩვეულებისა მებრ არ დამცხრალა ხალხის ქეიფი და დროს ტარება: ნაღველით სავსე ზურნის ხმაზე ანთებულს კოკონების შვა, რომლებზედაც შუშხუნ-შუშხუნი გაქონდა ცვრიან მწვადებს, დასეირნობდა და მიდიოდ-მოდიოდა დიდძალი ხალხთა გროვა. ურმების ჭრიალი, რომლებიც კახეთისა და ქართლის სხვა და სხვა კუთხეებიდამ შემოდიოდენ, დასაკლავი ცხვრების ბღავილი, ზურნის ხმა, ადგილობრივ «ზაზანდართა» მელექსეობა—ყველა ესენი გონებას უხიბლავდენ კაცს და სადღაც ოცნების ქვეყანაში გადაჰყავდათ იგი.

მეორე დილას, ადრე დაიწყეს მსხვერპლების შეწირვა. შესაწირავად განმზადებულ ცხვარს სამჯერ შემოატარებდენ ტაძრის გარეშემო და მერე იქვე მახლობლად კლავდენ. რქებს შვა მატყლს ამოსწვავდენ, შემდეგ ჭრიდენ ასო-ასოდ, ერთ ნაწილს ადგილობით კრებულს აძლევდენ, ხოლო დანარჩენებიდამ ამზადებდენ საჭმელებს. ყველა ეს სამსხვერპლო ჩვეულებანი—ზურნითა და ხალხის ქეიფითურთ რა უნდა იყოს, თუ არა ნაშთი ძველი ალთქმის ჩვეულებათაგან, იმათ მსგავსი, რომელთაც აღასრულებდა ღვთივ მონიჭებული მეფე წინასწარმეტყველი დავით ხტუნვითა და თამაშით უფლის კიდობნის წინაშე?! ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ ძველი მცხეთის თვით მცხოვრებთა ერთ ნაწილს შეადგენდენ ებრაელები.

წირვა დადგა მეცხრე საათის ნახევარზედ. მწირველი ბრძანდებოდა ექსარხოსი და მასთან ერთად მსახურებდენ ყოველად სამღვდელო ალექსანდრე, ადგილობითი და მოსული დღესასწაულზედ სამღვდელობა. წირვაზე ექსარხოსის ხორის გარდა გალობდენ კიდე გალობის მოყვარენი აზნაურნი, რომლებიც მშვენიერი ნაციონალური ხავერდის ტანისამოსებით, იყენენ მოირთულნი, იმ ტანისამოსებით, რომელიც ეცვათ წარსულს წელში ხელმწიფე იმპერატორის ბრძანების დროს. ექსარხოსმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა. *) წირვის გათავების შემდეგ მე-

*) ეს სიტყვა, ჭეშმარიტად, შესანიშნავია და იმგვითი: იგი თავიდამ ბოლომდე უმაღლეს ხარისხამდე გამობარი და გამსჭვალულია იმგვითის მხურვალე სარწმუნოებით და რწმენით. თითოეული სტრიქონს უეჭველი ბეჭედი ასვია სიცოცხლისა და თანა დროების, . წარმოგვიდგენს თავისუფალს, ჭარმონიულს ნაკადს ღრმად მორწმუნე ზეციურის ცეცხლით აღზნებულის სულისას,—და ამიტომ იკითხება ფრიად თავისუფლად, დიდის კმაყოფილებით, და სტოვებს მკითხველში მეტად ღრმა წარუხოცელს შთაბეჭდილებას,—ეს სიტყვა დავბეჭდეთ ჩვენ ცალკე წიგნაკებათაც და ყველას შეუძლია მოიპოვოს იგი საექსარხოსოის ყოველ საკათედრო ტაძრებში.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებული იყო სამარაკლისო გალობა, თან შემო უარეს გარეშემო ტაძარს და წარმოსთქვეს მრავალ ჟამიერი სამეფო სახლისა, უწმიდესი სინოდისა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსისა და ყოველთა მკვიდრთა თვისი კურთხეულის ივერიისა. შემდეგ ექსარხოსმა, ხედვიდა რა მახლობელს მთაზედ ამაღლებულს ტაძარს, წმიდა ნინოს ჯვარის სახელობაზედ აღშენებულს, უთხრა ხალხს რამოდენიმე გრძნობით სავსე სიტყვა წმიდა ნინოზე, და—გარდასახა რა ჯვარი ხალხს,—ისურვა, რომ წმიდა სარწმუნოება, წმ. ნინოსაგან დანერგული საქართველოში, თან-და-თან უფრო ღრმად შთანერგოდეს ხალხს გულსა და გონებაში. ამას მოჰყვა ჯვრით წასვლა დედათ სავანეში, რომელშიაც მოღვაწეობდა წმ. ნინა. ეს იყო პირველი ჯვრით სვლა უხსოვარი დროიდამ, წმიდა სავანის კარებში ჯვრით სვლას შემოეგება იღუმენია დებითა და მღვდელითურთ. ექსარხოსი მიუახლოვდა ჯვარს, ისხურა წყალი და წაბრძანდა ახლად გახსნილს მონასტრის ორკლასიან სამრევლო სკოლაში. სკოლისთვის დანიშნულს სახლში, რომელიც საკმაოდ ვრცელია და სუფთა, ახლად მიღებული ყმაწვილების დასწრებით, შესრულებულ იქმნა წყალ-კურთხევა, და შემდეგ წყალთ-სხურება ჯერ დამსწრე ბოვშების და სავანეს დათა და შემდეგ მთელს სახლისა. ექსარხოსმა აქაც წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ცხოველი სიტყვა, რომელსაც მიჰმართავდა ხან იღუმენიას და ხან ბავშვებს. ამ სიტყვაში ჯერ მადლობა გამოუცხადა დამაარსებელთა კეთილი საქმისათვის და გამოსთქვა სურვილი, რომ ამ სკოლიდამ გამოსულიყვნენ ყრმანი—მსგავსად წმიდა ნინოსა—მთელი ხალხის განმანათლებელნი, დაურიგა რა დამსწრეთ ჯვრები და წიგნაკები, ხოლო ბავშვებს გარდა ამისა ფულებიც, ექსარხოსი წაბრძანდა ჯერ მონასტრის ტაძარში; და აქედამ, შესამოსლის გახდის შემდეგ, იღუმენიას სენაკში.

ზნაზედ ექსარხოსი შებრძანდა ტრაპეზში და ლოცვა-კურთხევა უბოძა ბავშებს, და შემდეგ წაბრძანდა სენაკში ხაზინადრის ავათ-მყოფი დედის სანახავად. ავად-მყოფ მოხუცს ცრემლები მოადგა თვალებზედ მწყემს-მთავრის ესრეთი მოწყალე ყურადღებისაგან. დედა იგუმენიის სენაკში მომზადებული იყო ჩაი და საუზმე ძვირფასი სტუმრებისათვის. გამოუცხადა რა თავისი კმაყოფილება სავანის წესიერებისა და კეთილ-მოწყობილებისათვის, ექსარხოსმა ამასთან გადასცა მას 100 მ. ახალი სკოლისთვის მოსახმარებლად. ექსარხოსის კეთილ-მაგალითს მიჰბაძეს სხვა პირთაც სასულიერო და საერო—და თითოეულმა შესწირა თავისი შეძლებისადაგვარ. უნდა შევნიშნოთ, რომ სავანეს მცირე საშვალებათა გარდა, ახლად გახსნილი სკოლა, ექსარხოსის შუამდგომლობის წყალობით, მიიღებს ყოველ წლივ კიდე 600 მან. სულითა და გულით გვსურს, ამ წმიდა საქმეს, რომელიც სარწმუნოებითა და სიყვარულით დაიწყეს, ჰქონოდეს წარმატება მომავალშიაც და მიიღოს საზოგადო ბიდან ისეთივე მონაწილეობა და თანაგრძნობა, როგორითაც იწყება.

გამოეთხოვა რა სტუმართ-მოყვარე იღუმენიას, ექსარხოსი ყველა თავის მხლე პირებითურთ წაბრძანდა წმიდა ნინოს ტაძრისკენ. ეს პაწაწინა ეკკლესიაა; მასში ძლივს შეიძლება დაეტიოს 10 კაცი. ექსარხოსმა გამოსთქვა სურვილი, რომ ამ პაწაწინა ეკკლესიას,—თანახმად მოსკოვის მიტროპოლიტის, მაღალ ყოვლად სამღვდელო იოანნიკეს სურვილისა, რომელმაც აღუთქვა ამ საქმისათვის 5000 მან. შემოწირვა, აშენებული იქმნეს ტაძარი, რომელშიიგი, როგორც კარავში, დაფარულ იქმნეს ავი ტაროსისაგან. ეჭვი არაა, რომ მოსკოვის მიტროპოლიტის და ექსარხოსის აზრი მოიპოვებს თანამგრძნობელთა და მოშურნეთა საქართველოს კეთილ-მსახურ საზოგადოებაში.—და შეიძლება—მოკლე ხანში ჩვენ კიდეც მოვესწროთ მის განხორციელებას. ღმერთმა ინებოს —მალე მოვესწრებოდეთ! ეს პაწაწინა ეკკლესია არის უძვირფასესი სახსოვარი წმ. ნინოსი: იგი აქ მოღვაწეობდა და განერინებოდა.

ეს დღე დაბოლოვდა ადგილობით დეკანოზთან სადილით. ამ სადილზე განსაკუთრებით შესანიშნავი იყო საერთო და ერთსული მოგონება საქართველოს ყოფილ ექსარხოსზე, მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს ისიდორეზედ, რომელსაც ამ დღეს შეუსრულდა 90 წელი შობიდამ. ექსარხოსმა მხურვალე სიტყვებით წარმოსთქვა სადღეგრძელო მოხუცი მწყემს-მთავრისა და დამსწრეთ დიდის აღტაცებით იგალობეს «მრავალჟამიერი».

ნასადილევს, ერთი საათის შემდეგ მატარებელი მიგვაქანებდა ჩვენ უკან თბილისში. მშვენივრად მორთული ვაგონი უნებლიეთ გვაგონებდა ჰრიჰინა და უხერხულს ქართულს მძიმე ურემს—და ოცნებას წარსულიდამ და აწმყოიდამ უნებლიეთ მიეყავდი მყობადში!..

რექტორი სემინარიისა არქ. ნიკოლოზი.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია.

სოფელი ბასილეთი (ოზურგეთის მაზრაშია) მდებარეობს ქალაქ ოზურგეთიდამ სამხრეთ - აღმოსავლეთის მხრით, ხიდისთავის მახლობლად. როგორც სოფელს ისე მთელს საზოგადოებას ეწოდება სახელად «ბასილეთი». ამ საზოგადოებაში ირიცხება შვიდასი კომლი. ადგილის მდებარეობა მთა-გორაკებიანია, ჰაეაც ამ სოფელში სხვა სოფლებთან შედარებით ცუდი არ არის; ციებ-ცხელება აქ ძალიან ძვირია. ნიადაგი მიწისა კაია. აქ ბლომად მოდის სიმინდი, ღომი, ლობიო, თუთუნი და სხვ. მაგრამ ხეირიანი გზების უმექონელობისა გამო ყოველივე ნაწარმოები მკვიდრთ ვერ გააქვსთ გასასყიდათ და ამიტომ იძულებულნი არიან ადგილობით ყოველივე იაფ ფასად გაყიდონ. წინეთ აქ ფუთი თუთუნი ათი-თორმეტი მანეთი ღირდა, დღეს კი ფუთში სამ მანეთსაც არ იძლევიან. ეს არის მიზეზი, რომ თუთუნის თესვას დღეს აღარ მისდევენ აქაურები. ფუთი სიმინდი შვიდ შაურად ისყიდება.

ამ საზოგადოებაში დღემდის იყო ერთ კლასიანი სკოლა, რომელიც დღეს მცხოვრებლების თხოვნით გადაკეთებულ იქმნა ორ კლასიანად. ამ საზოგადოებაში არის ხის ეკლესია, რომელიც აღშენებულია წმიდა ვასილის სახელზე.

ეკლესია დღემდის დიდ სიღარიბეში იყო, მაგრამ დღეს ეს ტაძარი ადგილობითი მრევლის და სხვა კერძო პირების დახმარებით შესამჩნევად გაუმშვენდა, რაისათვისაც უგულითადეს მადლობას სწირავს მთელი საზოგადოება ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ტაძრის გაუმშვენების საქმეს. აი ეს პირნი:

Иосებ ბეჟანისძე მჟავანაძემ 25 მ., ვახტანგ ბიჭიასძე ქოპლატაძემ—25 მ., ნიკო ბ. ქოპლატაძემ 25. ბიგო ცხომელიძემ 20 მ., ლუკა ანტონისძე ჯაშმა 20 მანეთი, ბეგლარ გოგიბერიძემ 15 მანეთი; ლევარსი გ. ჯაშმა 10 მ., ქირილე კოპლატაძემ 10 მ., ხარიტონ ჯაშმა 6 მ., ლავრენტი ჯაშმა 4 მ., ისაკია ქლენტმა 3 მ., ევთიმე გოგიტოურმა 3 მ., გრიგორი ჯაშმა 2 მ., ივანე ქოპლატაძემ 5 მ., გიორგი თევზაძემ 2 მ., ივანე ქოპლატაძემ 5 მ., მასიკო ნიკოლაშვილმა 2 მ., ივლიანე თავართქილაძემ 5 მ., დავით მახარაძემ 2 მ., ბესარიონ გოგიტოურმა 3 მ., ვარდენ ჯაშმა 3 მ., ერმილე კოპლატაძემ 5 მ., ვასილი მასხულიამ 2 მ., ლეონტი ჯაშმა 1 მ., ანდრია ჯაშმა 3 მ., ივლიანე ნინიძემ 1 მ., ანდრია კალანდაძემ 2 მ., ნიკო გოგიბერიძემ 3 მ., მელქისედეკ სოფრომისძე ჯაშმა 25 მანეთი. სულ ჯამი შესდგა 237 მანეთი.

ამ ეკლესიის მრევლისაგან იქმნა მოგროვილი 365 მანეთი 44 კ.

ამ ფულებისაგან იქმნა დახარჯული კანკელის (იკონოსტასის) აგებისათვის 526 მანეთი. იქმნა ნასყიდი სამი სასანთლე ორი ძირს დასადგამი და ერთი ჩამოსაკიდებელი 35 მანეთად. დაიხარჯა შილოვკების ასაკრავათ ეკლესიის დასავლეთის მხრით წვიმიდგან დასაფარავათ 30 მანეთი. სხვა და სხვა წვრილმანი საჭიროებისათვის დაიხარჯა 9 მ. 50 კ. დარჩა ანგარიშის გასწორების დროს 1 მ—თი და 94 კ. რომელიც იქმნა ჩაბარებული ჩემ მიერ სტაროსტაზე ეკლესიის სასარგებლოთ.

ბანმეორებით გულითად მადლობას უძღვნი ყველა ზემო აღწერილ პირებს და აგრეთვე ეკლესიის მრევლთა ესრეთი ქველმოქმედებისათვის, ღმერთმა დღეგრძელი ქმნას მათი სიცოცხლე.

მელქისედეკ სოფრომის ძე ჯაში.

სამეგრის ტაძარი სოფელ ხაშმის მახლობლად.

ძველიდგანვე ქართველნი განთქმულნი იყვნენ სარწმუნოების სიმტკიცითა და მაღალის ზნეობით. ნიშნად ამისა მთელი საქართველო მოფენილი იყო დიდებულის ტაძრებით. დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ბრწყინვალე დროს შემდეგ მრავალი შენობა შემუსვრილ და დანგრეულ იქმნა ულმობელის მტრის ხელით, მაგრამ მაინც აქამომდე მოწმად არის დარჩენილი ჩვენის მამულის სხვა-და-სხვა კუთხეში დიდებულ ბენობათა ნაშთი, ისე დაძველებული და შერყეული, რომ თუ არ მივეშველეთ და არ განვაახლეთ, სრულებით აღმოფხვრილ იქნება საძირკვლამდე. ერთი ამისთანა შენობათაგანი არის სამეგრის ტაძარი სოფელ ხაშმს. ახლა, ეს განთქმული საეპისკოპოსო ტაძარი, ჩვენდა სათაკილოდ, პირუტყვთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძროხეთ სადგომად იყო გადაქმნილი. ეხლა ამ ტაძარსაც მიაქცია თვისი ყურადღება მისმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ და მომანდო მე მისი განახლება და განშვენება. ამ საყურადღებო მონდობილობის აღსრულებას კიდეც შეეუდექი, მაკრამ ამისთანა დიდებულის ტაძრის შესაფერად განახლებას ვერ შესძლებს მარტო სასულიერო უწყება, თუ მთელმა კეთილ-მორწმუნე ერმა არ აღმოუჩინა თავისი თანაგრძნობა და დახმარება. ჩვენი საზოგადოება ნათლად ჰხედავს და ჰგრძნობს მნიშვნელობას დანგრეულ და გაუქმებულ ტაძრების განახლებისას და აღდგენისას. და მოიმედენი ვართ, რომ ამ ჟამად თავის ყურადღებას არ მოაკლებს დიდებულის სამების ტაძრის განახლებასაც, მოსახსენებლად ჩვენდა მამა-პაპათა, როგორც მოღვაწეთა და აღმაშენებელთა, და სასიქადულოდ თანამედროვე ქართველ საზოგადოებისა, რომელსაც გულში უღვივის დაუშრეტელი სიყვარული სამშობლოისა და მის დიდების ნაშთთადმი. ყოველივე შემოწირულობა მიღებულ იქმნება დიდის მადლობით და შემომწირველთა და შემოწირულობათა სია თავთავის ღროს გამოცხადებულ იქნება გაზეთებში. «ივერია».

გამგე სამების ტაძრის განახლების საქმისა
არქიმანდრიტი მაკარი.

საისტორიო მასალა.

1650 წელში საქართველოში მოგზაურობა მეფის ალექსი მიხაილის ძის მიერ გამოგზავნილ დესპანთა იმერეთის მეფე ალექსანდრესთან და ამ დესპანთაგან გელათის მონასტრის და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქართლიკოსის წირვის მოსმენა.

(გაგრძელება *).

მეფის დარბაზები აღშენებულნი არიან ქალაქის კედლებზე. ამ დარბაზების კედლებზე იმეკონებიან წარწერანი. დარბაზების წინ, დერეფნებში, სდგას სამი ზარბაზანი.

ქალაქის ციხის მახლობლად, ნაპირა კოშკთან არის სარდაფი, რომელიც დაბეჭდილია მეფე ალექსანდრეს ბეჭდით. ქალაქის გამგემ გვიამბო, რომ იმ კოშკის ქვეშ დგება გვარჯილა; ყოველ წლობით აქედამ ამოაქვსთ ექვსი ქვაბი და ხან მეტი გვარჯილა. ზვარჯილას არჩევენ დედოფლის წინაშე. შემდეგ ამ სარდაფს ხელახლად ბეჭდავს მეფე თავისი ბეჭდით.

როგორც დიდი ქუთაისის მახლობლად ისე პატარა ძირა ქუთაისისა, რიონის ორივე მხრით შემოვლებულია თხრილი, რომელზედაც შემოვლებულია ქვის კედელი, ამ კედელზე აღშენებულია ხის კოშკები მეომართათვის. ამ ქვის გალავნიდგან ოთხი ვერსის მანძილზე არის სათესი მინდვრები, სადაც სთესენ პურს, ქერს, ფეტვს, ცერცვს და მუხუდოს. ქუთაისის მახლობლად რვა-ცხრა ვერსის მანძილზე არიან აზნაურების მრავალი სოფლები; სოფლებში ეკლესიები არიან ქვისა და ხის. ქუთაისიდამ შავზღვამდის მდინარე რიონით ორი დღის სავალია, ხოლო ხმელეთით დღის სავალია. შავი ზღვიდამ მდ. რიონით მოდიან ქუთაისში ლონის ყაზახები და ზოგიერთ სოფლებს აოხრებენ.

18 ივლისს ქუთაისში მოვიდნენ ათონის მთიდგან ორი მოხუცებული ბერი, ერთს ერქვა აბესალომი, და მეორეს, დიაკონს ისაი. მათ ინახულეს ნიკიფორე და ალექსი, რომელთაც მოახსენეს შემდეგი: «ათონის მონასტერს აქვს მამულები კოსტანტინეპოლში, ქართლში, იმერეთში, სადადიანოში და ბურიაში. ეს მამულები შეუწირავთ მონასტრისათვის ღვთის-მოყვარე და კეთილ-მსახურ ბერძნების და იმერეთის მეფეებს. ჩვენ გამოგზავნილი ვართ ღალა შევკრიბოთ გლეხებიდგან, რომელნიც ამ მონასტრის მამულებში სცხოვრებენ. ყოველ წლობით მონასტერი აგზავნის ორ ან სამ ბერს ღალის შესაკრებად, რადგან მონასტერში სხვა მოსამსახურეები არა გვყავს. როცა შევკრებთ სიმინდსა და პურს, გავყიდით და ფულებს წავიღებთ ათონის მონასტერში. ამ ადგილების ყოველივე შემოსავალი იწერება წიგნებში. ამავე ბერებმა უამბეს ნიკიფორეს და ალექსის შემდეგი: 1649 წელში ვიყავით სადადიანოში, ხოპის მონასტერში. ამ მონასტერში არის ეკლესია ყოველად წმიდა ღვთის-მშობლის მიძინების სახელზე. ეკლესია არის ქვისა, რომელიც აღუშენებია ბერძნების მეფეს ირაკლის. ეკლესია უშეტესად ნაშენებია მარმარილოს ქვისაგან. ამ მონასტერში ინახება ყოველად წმიდა ღვთის-მშობლის ძვერთი (პერანგი), რო-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მოუტანიათ ამ მონასტერში იმ დროს, როცა სდევნიდენ წმიდა ხატებს მეფის თეოფილეს დროს. ძვართი არის შაქრის ფერისა და შენახულია ვერცხლის კიდობანში, რომელიც ინახება იმ ეკლესიის საკურთხეველში. ეს კიდობანი დაბეჭდილია თავად დადიანის და ქათალიკოსის ბეჭდით.

ალექსი ამ კვართის შესახებ დაეკითხა მიტროპოლიტს ზაქარიას. მიტროპოლიტმა მოახსენა, რომ მას ის კვართი უნახავს მრავალ გზის და მოტანილია იგი კოსტანტინეპოლიდამ იმ დროს, როცა სდევნიდენ წმიდა ხატებს. ამავე ეკლესიაში არის წმ. მოწამის ქირიკეს მარჯვენა ხელის მაჯა ხორც შესხმული, როგორც ცოცხალი კაცისა; ამავე ტაძარში ინახება ნაწილი ცხოველს-მყოფელის უფლის ხისა და სხვათა წმიდანთა ნაწილები. ამ მონასტრამდის ქუთაისიდგან იქნება ორი დღის სავალი.

19 ივლისს მოვიდნენ ქუთაისში მეფე ალექსანდრეს აზნაურნი ქოსტა და პაატა, რომელთაც მოართვეს ნიკიფორეს და ალექსის თითო ფურცელი ქაღალდი. ამ ქაღალდებში მეფე ალექსანდრე სწერდა ნიკიფორეს და ალექსის შემდეგს: «ბოდიშს ვიხდი და ძლიერ ვსწუხვარ, რომ ამდენი ხანი ვერ გნახეთ. ჩემთვის ძლიერ სამწუხაროა, რომ თქვენ ცალკე ცხოვრებთ და მე ცალკე, მაგრამ ამის მიზეზი იყო მრავალი საქმეები. ეხლა გიგზავნით ორს აზნაურს, რომელთა ხელით გაახლებთ ცხენებს და გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთ და, რაც საქმეები გვაქვს, ღვთის შემწეობით, ყოველივეს აქ გავათავებთ. ყოველივე თქვენი სახლის აეეჯეულობა მად დასტოვეთ და იმედი გქონდესთ, რომ არასფერი არ დაგეკარგებათ.

ამავე დღეს მოვიდა სადადიანოდგან ქუთაისში მეფე თეიმურაზის აზნაური რამაზანი, რომელმაც ინახულა ნიკიფორე და ალექსი, მაგრამ რა ელაპარაკა იგი მათ, არ ვიცი, რადგან ფარულად იყო მოლაპარაკება. ბოლოს, როგორც შევიტყეთ, მეფე თეიმურაზის აზნაური რამაზანი მოვიდა სადადიანოდგან, რომ შეატყობინოს მეფე ალექსანდრეს, რომ სადადიანოს მთავარს უნდა ალექსანდრეს ვაჟს მისცეს თავის ქალი, და მოლაპარაკებაზე დაესწრება აგრეთვე თავადი ლეონტი. ამავე რამაზანმა უამბო დესპანთ, რომ სადადიანოის მთავარს ლეონტის სურს მიიღოს მფარველობა რუსეთის მეფისა. შემდეგ რამაზანი წავიდა ალექსანდრესთან.

20 ივლისს მეფე ალექსანდრეს აზნაურებმა კაისეიმ და პაშამ მოგვარეს დესპანთ ცხენები, მეფე ალექსანდრესაგან გამოგზავნილი. აზნაურებმა მოახსენეს ნიკიფორეს და ალექსის: ეს ცხენები გამოგიგზავნათ თქვენ მეფე ალექსანდრემ, რათა თქვენ მიბრძანდეთ მასთან ქალაქს სკალდაში სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ნიკიფორე და ალექსი იმავე დღეს წავიდნენ მეფე ალექსანდრესთან. იმ ღამეს დაბინავდენ ქალაქ სკალდის მახლობლად. ნიკიფორე კარავში, ხოლო ალექსი ეზოში იდგა. აქედგან მეფე ალექსანდრეს ბინამდის იყო ერთი ვერსი.

22 ივლისს მეფე ალექსანდრემ მიიპატიჟა ნიკიფორე და ალექსი სადილათ. ისინიც წავიდნენ და, როცა მიუახლოვდენ მეფის სადგომს, ბოქაულებმა შეაჩერეს ნიკიფორე და ალექსი მოედანზე. ამ დროს მეფე ალექსანდრესთან შებრძანდა თავის სადგომიდგან ქართლის მეფე თეიმურაზი თავისი შვილის-შვილებით ლუარსაბით და ნიკოლოზით. მეფე ალექსანდრე შეეგება თეიმურაზს ორი საჟენის მანძილზე და შეიყვანა იგინი თავის სადგომში, შემდეგ მიიწვიეს დესპანნი. ნიკიფორე და ალექსი შევიდნენ მეფის სასახლეში და პირველად თავი დაუკრეს მეფე ალექსანდრეს, ხოლო შემდეგ თეიმურაზ და მის შვილიშვილებს. მეფე ალექსანდრე იჯდა სუფრის შუა ადგილს, სუფრის ბოლოს მარჯვენა მხრით იჯდა მეფე ალექსანდრე ნახევარ საჟენზე მოშორებით მეფე თეიმურაზიდგან, ხოლო მარცხნით ისხდენ ბატონის შვილები ერთად. ყველანი ისხდენ ყიზილბაშურად ბალიშებზე, უკანაც ბალიშები ეწყოთ. დესპანნი ისხდენ ბატონიშვილების მახლობლად სკამებზე. სტოლის მაგიერ მათ წინ ედგათ სკამი (ხონჩა), რომელზედაც გადაფარებული იყო სუფრა. მთავრობის წარმომადგენელნი ისხდენ მარჯვენა მხრით, ხოლო დიდკაცობა და აზნაურები უწინდებულად ორივე მხრით. როცა პურის ჭამა დაიწყეს, მეფეებმა, ბატონიშვილებმა და მთავრობის მოსამსახურე პირებმა დაისხეს ღვინოები და დესპანთ გაუგზავნეს კაცი, რომელმაც მოახსენა მათ შემდეგი: გამომგზავნეს თქვენთან მეფე თეიმურაზმა და მეფე ალექსანდრემ, რათა გამოგიცხადოთ თქვენ, რომ მათ უდიდებულესობათა სურთ დალიონ სადღეგრძელო დიდის ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრისა ალექსი მიხაილის ძისა, რუსეთის თვით-მპყრობელისა, ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მაგისთანა მეფე მოგვანიჭა ღმერთმა, ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზათ ვართ თავი შევსწიროთ მას. შემდეგ დალიეს სადღეგრძელო და თავი მოიყარეს ძირს, შემდეგ თავის ხელით მიართვეს ღვინო დესპანთ; დესპანთ შემდეგ სადღეგრძელო დალიეს სხვა მოსამსახურე პირებმა. როცა დალიეს სადღეგრძელო რუსეთის მეფის ალექსი მიხაილის ძისა, მეფე თეიმურაზისა, ალექსანდრესი და ბატონიშვილებისა, ნიკიფორე წამოდგა ფეხზე და სთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატა სურვილი, რათა მეფე თეიმურაზი, ალექსანდრე და ბატონიშვილები იმყოფებოდენ რუსეთის მეფის ალექსი მიხაილის ძის მფარველობასა ქვეშე. მეფეებმა აიშვირეს მაღლა ხელები და სთქვეს, რომ იგინი თავიანთი ქვეშევრდომებით მუდამ მორჩილნი იქმნებიან რუსეთის მეფისა. სადილის შემდეგ დესპანნი გაისტუმრეს თავიანთ ბინაზე და თან გააყოლეს აზნაურები.

ქალაქი სკალდა მდებარეობს მთიან გორაზე. ქალაქი ოთხკუთხიანია, გარეშემო შემოვლებული აქვს ქვის კედელი, რომელზედაც აღშენებულია ოთხი კოშკი, ხოლო კოშკებზე სამ-სამი ზარბაზანია დადგმული.

ქალაქში არის ქვის ეკკლესია წმ. მოწამის გიორგის სახელზე. ტაძარში არის სამი ხატი მაცხოვრისა, ყოველად წმიდა ღვთის-მშობლისა და მოწამე გიორგისა. ხატები მორთულნი არიან მოოქვრილი ვერცხლით; მაცხოვრის ხატს გვირგვინი აქვს ოქროსი; ქალაქის კედელზე გაკეთებულია სამ-სართულიანი დიდი დარბაზი, ზემო სართულში არის მეფის ხაზინა, ამავე სახურავში არის რუსეთის მეფის ალექსი მიხაილის ძისაგან ნაბოძები მოსასხამი; ამავე ქალაქში არის ერთი დიდი ხის ბეღელი, საცხე პურითა, სარდაფის მაგიერ ჩაფლულია მიწაში დიდი ჭური, რომელიც სავსეა ერთი წლის საყოფი ღვინით. ამ პურს და ღვინოს ინახვენ იმ დროსთვის, როცა მტერი შემოესევა ქალაქს გარს. ქალაქი სიერცით იქნება ას ოცი საჟენი. ქალაქს მისავალი გზა აქვს ერთი და ისიც ალმართიანია. ქალაქის იერიშით აღება არას გზით არ შეიძლება. მთა არის ქვიანი. ამ მთის მახლობლად გაკეთებულია ოც-და-ათი სახლი მეომართათვის.

სატახტო ქალაქ ქუთაისიდგან სკალდამდის არის 30 ვერსი, ხოლო ქალაქ სკალდიდამ მდინარე კურლამდის იქნება ცოტა მეტი ოც ვერსზე. მდინარე კურლი ერთვის მდინარე რიონს ქუთაისიდგან ექვსი ვერსის მოშორებით. მდინარე კურლზე მთების ძირში მდებარეობს მეფე ალექსანდრეს ქალაქი სუერი, რომელშიაც ეკკლესია არის ქვისა ყოველად წმიდა ღვთის მშობლის სახელზე. ქალაქი სუერი მდებარეობს მაღალ გორაზე, მისავალი აქვს საცალფეხო. ამ ქალაქში ინახება მეფის ალექსანდრეს ხაზინა. შაივ-ზღვიდგან მდინარე რიონით შემოდიან მდინარე კურლაში.

27 ივლისს ნიკიფორესთან და ალექსისთან მოვიდა მეფე ალექსანდრეს გამოგზავნილი კაცი, რომელმაც მოახსენა მათ მეფის პირით შემდეგი: მეფე ალექსანდრესთან მოიდენენ სათათრეთის სულთანისაგან გამოგზავნილნი დესპანნი, რომელთაც მოახსენეს მეფეს, რომ სულთანს ომი აქვს მრავალ სხვა-და-სხვა ხალხებთან და ატყობიებს მეფე ალექსანდრეს, რომ იგი, ალექსანდრე, არც ერთ სახელმწიფოს არ შეეკრას პირობით. ამაზე მეფე ალექსანდრემ შეუთვალა სულთანს, რომ იგი არც ერთ მის მტერს არ შეუამხანაგდება, მაგრამ აგრეთვე იგი არ აღასრულებს სათათრეთის სულთანის ბრძანებას. მეფემ მოახსენა სათათრეთის დესპანთ, რომ მას მოხედნა ღმერთმა თავისი მოწყალებით ჯ მოუვლინა მასს ხელმწიფე და დიდი მთავარი ალექსი მიხაილის ძე მთეთი რუსეთის მპყრობელი, რომელსაც დაუკრა თავი ყველა თავისი ქვეშევრდომებით და აღთქმა დასდვა მუდამ მის ხელქვეშ იყოს, ამიტომ მას სურს ემსახუროს დიდს ხელმწიფეს და მისი მტრების წინაშე სისხლი დააქციოს.

როცა სულთანისგან გამოგზავნილმა კაცებმა მოისმინეს ეს სიტყვები, მოახსენეს მეფე ალექსანდრეს: «შენ, მეფე ალექსანდრეე, შეუერთდი მოსკოვის ხელმწიფეს, რომელიც თქვენთან ერთი სარწმუნოებისა არის; ხოლო სათათრეთის სულთანს მოშორდი». შემდეგ მეფე ალექსანდრემ გაგზავნა იგინი უკანვე და არავითარი საჩუქარი მათთვის არ მიუცია. არც სადილზე მიუწვევია ისინი და ბრძანა, რომ იმავე დღეს გაესტუმრებიათ იგინი.

მეფე ალესანდრეს თარჯიმანმა უამბო ნიკიფორეს, რომ მეფე ალექსანდრემ გაგზავნა თბილისში თავის მეომარნი თავ-დასაცემად პერსიის შაჰის ხალხისა, რომელიც ამ დროს გარს ერტყენ თბილისს. ალექსანდრეს მეომართ დაამარცხეს შაჰის ხალხი და მრავალი მათგანი ტყვედ მოგვარეს მეფე ალექსანდრეს. ისინი, რომელნიც ტყვეებში ქრისტიანები იყვნენ, მეფემ გაგზავნა აზნაურების სოფლებში და ბრძანა, რომ ისინი კარგად ერჩინათ, ხოლო რომელნიც თათრის სარწმუნოებისანი იყვნენ, ისინი მეფემ დაარიგა ქალაქებში და ბრძანა დაემწყვდიათ ისინი სატუსაღოებში, ვიდრემდის ბრძანებას არ გამოსცემდა მათ შესახებ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

«მწყემსი»-ს რედაქცია ამზადებს საყოველთაო კალენდარს, განსაკუთრებით სამღვდელო პირთათვის. ამ კალენდარში პირველად იქმნება მოთავსებული თვეთა მეტყველება კვირა-დღესასწაულების ჩვენებით და ყოველი კვირიაკის, ხმის და საცისკრო სახარების ჩვენებით. შემდეგ იქმნება მოყვანილი ასოებზე დაწყობილი წმიდანების სახელები მათი დღესასწაული დღეების ჩვენებით.

სხვა-და-სხვა საკალენდრო ცნობათა შემდეგ კალენდარში იქმნება მოყვანილი შინაური ექიმობა და მღვდელთათვის სხვა-და-სხვა საეჭვო კითხვების განმარტება. ფასი კალენდრისა არ აღემატება ექვს შაურს და ყველას შეეძლება მისი მოპოვება ადგილობით ბლაღოჩინებთან.

***

მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადის განკარგულებით ზემო ქართლის საბლაღოჩინო მაზრა გაყოფილ იქმნა ორ საბლაღოჩინო მაზრად, რომ ამით უფრო გაადვილდეს ამ საბლაღოჩინოს მმართვა. ეს საბლაღოჩინო მაზრა, მაინცა და მაინც, დიდი არ არის ეკკლესიების რიცხვით, მაგრამ ადგილი კი მეტად დიდი უკავია. თვითონ ბლაღოჩინად ყოფილმა დეკანოზმა სიმონოვმა, დღეს არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა სთხოვა სასულიერო მთავრობას ამ საბლაღოჩინო მაზრის ორად გაყოფა, მაგრამ მაშინ მ. სიმონოვის თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. მას დაუნიშნეს მხოლოდ თანაშემწე.

ახლად გახსნილ საბლაღოჩინო მაზრაში დანიშნულ იქმნა ბლაღოჩინად ბორჯომის მღვდელი დავიდოვი. ასეთივე გაყოფა საჭიროა მოხდეს ზოგიერთ სხვა საბლაღოჩინო მაზრებშიაც. მაგალითად, ავიღოთ საბლაღოჩინო დეკანოზის ზუმბულიძისა. ეს საბლაღოჩინო შესდგება 28 ეკკლესიებისაგან, რომელნიც გაფანტულნი არიან დიდ მანძილზე. ამის გამო შეუძლებელი ხდება თავის დროზე ეკკლესიების დახედვა. ბლაღოჩინმა წელიწადში ორჯერ უნდა დახედოს მისდამი რწმუნებულ ეკკლესიებს, მაგრამ აქ, ვგონებთ 2—3 წელიწადში ერთხელაც ვერ ხედვენ ეკკლესიებს. გარდა ამისა ადგილობითი მღვდლები თავის დროზე ვერ იგებენ სასულიერო მთავრობის განკარგულებათა. გაზეთის «საეკკლესიო უწყებათა» 4—6 ნომერი ერთად მოგვდის ხოლმე. აქედამ ცხადია, რომ ეს საბლაღოჩინო მაზრა უსათუოდ უნდა გაიყოს ორ მაზრად. თუ რომელი ეკკლესია რომელ მაზრას უნდა მიეწეროს, ეს, რასაკვირველია, უკეთ ეცოდინება მ. დეკანოზს ზუმბულიძეს.

***

მართებლობის მოამბეში სწერია: 3 ოკტომბერს 1889 წლისას ქ-ნ ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილისას ნება დაერთვა გამოსცეს თფილისში თავისის რედაქტორობით წელიწადში ექვსჯერ სურათებიანი საყმაწვილო ჟურნალი ქართულს ენაზედ, რომელსაც «ჯეჯილი» ეწოდება სახელად და შემდეგის პროგრამმით გამოვა;

1) მოთხრობები, არაკები, მოგზაურობანი, ბიოგრაფიები, პოემები და ეპიზოდები. 2) ლექსები. 3) მეცნიერება და ხელოვნება. 4) ნარევი. 5) წვრიმალნი. 6) საყმაწვილო, საპედაგოგიო, ჭადრაკისა და სხვა გასართობნი და სათამაშონი, რებუსები სამათემატიკო ამოცანები, ანეგდოტები, გამოცანები, ანდაზები და სხვა-და-სხვა თქმულობანი. 7) სურათები. 8) სიმღერები და გალობანი ნოტებით, რედაქციის პასუხები და განცხადებანი.

ეს ჟურნალი წელიწადში უნდა ღირდეს გაუგზავნელად 3 მან., გაგზავნით — 4 მან.

***

თბილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორს ბ-ნ ნ. პ. დარსკის მიუწერია ყველა სამოქალაქო სკოლის მასწავლებელთათვის, რომ საჭიროა ერთ გვარი წესები სწავლებისა შემოვიღოთ სკოლებში და ამიტომ გადავწყვიტე, მოგიწოდოთ ხოლმე ხანდახან და გასწავლებინოთ შეგირდებისათვის სხვა-და-სხვა სკოლებში. მერე საერთოდ განვიხილოთ, ვინ როგორ წესს ადგა სწავლებისას და როგორი წესია უფრო საყოველთაოდ სასურველიო. ეჭვი არ არის, რომ დირექტორის განკარგულება მნიშვნელობას არ არის მოკლებული და თავის წილს სარგებლობას მოუტანს სწავლების საქმეს ჩვენში. («ივერია»).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

ესთერი.

ძველი დროის ხალხთა შორის მარტო ებრაელები იცავდენ სარწმუნოებას ჭეშმარიტი ღვთისადმი და, როგორც ღვთისაგან აღრჩეული ხალხი, იგინი უწინდელს დროში სარგებლობდენ უფლის მრავალი მოწყალებითა. უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლამდის, ებრაელებმა თან-და-თან დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი, შთავარდენ კერპთ-თაყვანის-მცემლობაშიდ და გადმოიღეს სხვა და სხვა ჩვეულებანი მათ გარეშე მცხოვრებ კერპთ-თაყვანის-მცემელ ხალხებისაგან. ამისათვის ღმერთმა მოაკლო ებრაელებს თავისი მოწყალება. ებრაელების სამეფო, რომელიც გაიყო ორ ნაწილად, თან და თან დასუსტდა და ბოლოს ჩავარდა წარმართთა ხალხების ხელში.

ერთ დროს, როდესაც იუდეველები პერსიელების მფლობელობის ქვეშ იყვნენ, პერსიელების ტახტზე ავიდა მეფე არტაქსარი დიდი, რომელიც განაგებდა ას ოცდა შვიდს სამფლობელოს. თავისი მეფობის მესამე წელიწადს არტაქსარმა გაუმართა მშვენიერი ლხინი თავის სამეფოის სამფლობელოთა გამგებლებს, ჯარის უფროსებს, თავადებს და თავის სასახლის მოსამსახურეებს. ეს ლხინი, რომელმაც თვალსაჩინოდ დაუმტკიცა ყველას არტაქსარის სიმდიდრე და დიდება, გაგრძელდა ას ოთხმოც დღეს; ამ ლხინის გათავების შემდეგ მეფემ გამართა კიდევ მეორე ლხინი, რომელზედაც მოიწვია თავის სატახტო ქალაქის ყველა მცხოვრებნი. ლხინი იყო გამართული სამეფო სასახლის ბაღის ეზოში. ეს ლხინი გაგრძელდა შვიდ დღეს. მთელი ეზო მდიდრულად იყო შემკობილი: მარმარილოს ბოძებზე ვერცხლის რგოლებით ჩამოკიდებული იყო სხვა და სხვა ფერის ძვირფასი ნაქსოვები; ქვა ფენილზე გაკეთებული იყო ოქროს და ვერცხლის საწოლები, და მთელ ქვაფენილზე დაგებული იყო მარმარილოს სხვა-და-სხვა ფერის ქვა. ღვინის და სხვა სასმელების ჭურჭელნი სულ ვერცხლისა და ოქროსი იყვნენ. ღვინო ძალიან ბევრი იყო, მაგრამ ყველანი სვამდენ წესიერად და ზომიერად: მეფის ბრძანებით ღვინოს არავის არ აძალებდენ. ამავე დროს ხელმწიფის მეორე ეზოში არტაქსარის მეუღლეს ლამაზ ასტინს გამართული ჰქონდა ლხინი სატახტო ქალაქის ყველა ქალთათვის.

ლხინის მეშვიდე დღეს მეფე გამხიარულდა და უბრძანა თავის მოსამსახურეებს: მოიყვანეთ აქ დედოფალი ასტინი გვირგვინ დადგმული და სამეფო ტანისამოსით: მე მინდა მისი სილამაზე უჩვენო ხალხს და თავადებს. მოსამსახურენი წავიდნენ და დედოფალს გადასცეს მეფის სურვილი, მაგრამ ასტინი არ დათანხმდა და არ აღასრულა მეფის სურვილი. ეს რომ გაიგო არტაქსარმა, ძრიელ გარისხდა და ჰკითხა თავის ბრძენ კაცებს, რომლებმაც კარგად იცოდენ ძველი დროის გარემოება, თუ როგორ უნდა მოვეპყრო მე ასტინს ჩვენი ქვეყნის წესისამებრ, რადგანაც ასტინმა არ აღასრულა ჩემი, სურვილი?» ამაზედ ერთმა სასახლის ბრძენმა უპასუხა: «მეფევ, დედოფალი ასტინი დანაშაულია არა მარტო შენს წინაშე, არამედ შენი დიდი სამეფოის ხალხის წინაშეც, რადგან მან არ აღასრულა თქვენი სურვილი. როდესაც დედოფლის საქციელს გაიგებენ პერსიელნი და მიდიელნი კნეინები და შენი ქვეშევრდომის ცოლები, იგინი წაბაძვენ დედოფალს და აღარ დაემორჩილებიან თავიანთ ქმრებს; ამის გამო ბევრი უსიამოვნობა მოხდება შენს სამეფოში. დედოფლის ცუდი საქციელის შედეგს რომ ბოლო მოეღოს, ბრძანე, მეფევ, თუ თქვენცა გსურს, რომ გამოუცხადონ მთელ შენ სამეფოს, რომ დღეიდგან ასტინი ვერ წარსდგება მეფის წინაშე და მასთან ეხდება მას ყოველივე პატივი და მის მაგიერ მისი პატივი და დიდება მიეცემა მეორეს, რომელიც ასთინზე უღირსესი აღმოჩნდება. როდესაც გაიგებენ ქალები მეფის ამ გვარ გარდაწყვეტილებას, იგინი უწინდულად დაემორჩილებიან თავიანთ ქმრებს. ეს აზრი ძალიან მოეწონა მეფეს. მეფემ მაშინათვე ბრძანა, რომ გაემზადებიათ და გაეგზავნათ მთელი სამეფოის მმართველებისათვის წერილები, რომ მათ გამოუცხადონ ყველას, რომ ყოველი ქმარი სრული გამგე უნდა იყოს თავის სახლში.

ძაი ხანმა გაიარა. მეფე დამშვიდდა და მან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგონა ასტინი. მაშინ მოსამსახურეებმა მოახსენეს მეფეს: მეფევ, თქვენი სამეფოის ყველა კუთხეებში გაგზავნეთ კაცები, რომ მათ მოძებნონ ახალგაზდა ლამაზი ქალები და მოიყვანონ სატახტო ქალაქში. ამ ქალებში რომელიც უფრო მოგეწონება, ის ამოირჩიე შენს მეუღლედ, ასტინის მაგიერ. მეფეს მოეწონა ეს აზრი და ბრძანა მისი სისრულეში მოყვანა. ამ დროს სატახტო ქალაქ სუსში, ხელმწიფის სასახლეში მსახურებდა ერთი ებრაელი სახელად მარდოხეი, რომელიც, სხვათა შორის, წამოყვანილი იყო ტყვედ ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორისაგან. მარდოხეისთან სცხოვრებდა მისი ბიძაშვილი ქალი. სახელად ესთერი. ესთერს დედ-მამა არა ჰყავდა, და ამიტომ მარდოხეიმ წამოიყვანა იგი აღსაზრდელად. თანახმად მეფის ბრძანებისა ესთერიც წაიყვანეს სატახტო ქალაქში, რადგანაც იგი ძალიან ლამაზი იყო. მარდოხემ გამოთხოვების დროს დაარიგა ესთერი და უთხრა: შენ არავის გაუმხილო, რომ ებრაელი ხარ და ან თუ მე შენი ნათესავი ვარ. ყოველ დღეს მარდოხე დადიოდა მეფის სასახლეში ესთერის ამბავის გასაგებად.

იმ დღეს, როდესაც ესთერი უნდა გამოცხადებულიყო მეფესთან, მას, ჩვეულებისამებრ, უთხრეს მოეთხოვა ის, რაც გულითა სურდა. მაგრამ ესთერმა არასფერი არ ითხოვა და ამით შეაყვარა თავის თავი მეფის მოსამსახურეებს. არტაქსარმა მოიწონა და შეიყვარა ესთერი ყველა თავის ცოლებზედ უფრო; მეფემ დაადგა ესთერს სადედოფლო გვირგვინი და გამოაცხადა იგი დედოფლად ასტინის მაგიერ. ახალი დედოფლის პატივსაცემად მეფემ გამართა ხელახალი ლხინი, და მოიწვია ყველა თავადები და მეგობრები. ხალხს უხვად დაურიგა საჩუქრები. ოთხ ხნის შემდეგ ერთხელ მარდოხეი იჯდა სასახლის ალაყაფის კარებთან და ყური მოჰკრა სასახლის ორი მცველის ბაასს. ეს ორი მცველი გულმოსული იყვნენ მეფეზე, რადგან მეფემ ამჯობინა მათ მარდოხეი და ამიტომ ფიქრობდენ მეფის მოკვლას. მარდოხეიმ, გაიგო თუ არა მეფის მცველების ამგვარი განზრახვა, მაშინვე აცნობა ყველაფერი ესთერს, რომელმაც თავის მხრით მოახსენა მეფეს. მეფემ დანიშნა გამოძიება ამ საქმის შესახებ. დამნაშავენი გამოტყდნენ და დასჯილ იქმნენ. მეფემ ეს შემთხვევა ჩასწერა თავის უბის წიგნში, რომელშიდაც სწერდა ხოლმე ყოველი დღის ამბებს.

სასახლის ყველა კარის კაცებში მეფესთან უფრო დაახლოებული იყო ამან ვულვანელი. მეფემ შეიყვარა იგი და ყველა თავადებზე უფრო წარჩინებული გახადა იგი. ამანი მეფის შემდეგ პირველი პირი იყო სამეფოში. მეფის ბრძანებით ყველას თაყვანი უნდა ეცა ამანისათვის. ამ ბრძანებას ყველანი ასრულებდნენ გარდა ერთი კაცისა, ეს კაცი იყო ებრაელი მარდოხე. იგი არა თუ თაყვანს არა სცემდა ამანს, თავსაც არ უკრავდა მას. ყოველ დღეს სასახლის კარის კაცნი ჰკითხავდნენ ხოლმე მარდოხეს: «რატომ არ ასრულებ ხელმწიფის ბრძანებას»; მაგრამ მარდოხე ყურადღებას არ აქცევდა ამ სიტყვებს. მაშინ მოსამსახურეებმა მოახსენეს მარდოხეს საქციელი ამანს. ამაზედ ამანი ძალიან განრისხდა და განიზრახა მარდოხეს სასტიკად დასჯა. როდესაც ამანმა გაიგო, რომ მარდოხე იყო ებრაელი, მან განიზრახა გაქლეტა მარდოხესთან ერთად ყველა ებრაელებისა, რომელნიც გაბნეულნი იყვნენ არტაქსარის სამეფოში. ამანმა შეკრიბა ყველა თავისი მეგობრები და დაიწყეს ერთად სჯა, თუ როდის უფრო აჯობებდა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა. ჰყარეს წილი და წილი ხვდა მეთორმეტე თვეზე, ე. ი. ადარაზე. ამანმა იშოვა კარგი დრო მეფესთან მოსალაპარაკებლად და მოახსენა მას: »მეფევ, შენ სახელმწიფოში გაფანტული არის ერთნაირი ხალხი, რომელსაც თავისი უცხო სჯული აქვს, და შენს ბრძანებას არ ემორჩილება. ამ ხალხის შენს სამეფოში დატოვება სასარგებლო არ არის; თუ შენი სურვილი იქნება, მეფევ, მე უბრძანებ, რომ გაქლიტონ დიდიდან პატარამდის ებრაელები, და მე მაშინვე შემოვიტან შენს ხაზინაში ათი ათას ტალანტ ვერცხლს». ამაზედ არტაქსარმა უპასუხა ამანს: «მე გაძლევ შენ შენს ვერცხლსაც და იმ ხალხსაც, რომელზედაც ეხლა შენ მელაპარაკე. მოექეცი მათ შენი სურვილისა მებრ»... ამავე დროს მეფემ წაიძრო თითიდან ბეჭედი და მისცა ამანს უქაზის დასაბეჭდათ, რომელშიდაც ნაბრძანები უნდა ყოფილიყო ებრაელების გაქლეტა.

მიიღო თუ არა ამანმა ნებართვა მეფისგან ებრაელების გაწყვეტის შესახებ, მან მაშინვე დასწერა წერილები მეფის სახელით და გაუგზავნა მაზრის ყველა უფროსებს და თავადებს, რომელნიც იმყოფებოდნენ არტაქსარის სამეფოში. ამ უქაზში ნაბრძანები იყო, რომ არტაქსარის სამეფოში მეთორმეტე თვის მეცამეტე დღეს უნდა გაექლიტათ ყველა ებრაელები დაუზოგავად და შეუბრალებლად დიდიდგან პატარამდის ქალიან ბავშვებიანა, ხოლო მათი ქონება უნდა დაეტაცნათ. სია ამ უქაზისა ნაბრძანები იყო გაეგზავ-

ნათ პერსიის სამეფოის თვითოეულ მაზრაში, როგორც სავალდებულო ყოველ ხალხთათვის, რომელნიც ემორჩილებოდენ პერსიის მეფეს, რომ დანიშნული დროისათვის ყველანი მზად ყოფილიყვნენ. ამანის სურვილისა მებრ მეფის მწერლებმა საჩქაროდ გადასწერეს ეს უქაზი და მასთან გადათარგმნეს ყველა ენაზე. შემდეგ მეფის ბეჭედ დასმული საჩქაროდ დარიგდა პერსიის სამეფოში. სატახტო ქალაქ სუსში ეს უქაზი გამოაცხადეს საჯაროდ, რომელმაც დიდი არეულება ჩამოაგდო ხალხში. ამანი კი სვამდა, სჭამდა და მოუთმენლად მოელოდა იმ დღეს, როცა დანიშნული იყო ებრაელების ამოწყვეტა.

ეს უქაზი შიშის ზარს სცემდა ყველგან ურიებს. მათი სახლებიდგან გამოისმოდა ტირილი, კვნესა და ოხვრა. ზაიგო თუ არა მარდოხემ მეფის ამგვარი უქაზი, მან სიბრაზისაგან შემოიხია ტანზე ტანისამოსი, შეიმოსა ძაძითა, დაიყარა თავზე ნაცარი, როგორც სხვა ებრაელები შეებოდნენ, გამოვიდა შუა ქალაქში და ტირილით მოთქვამდა: «იხოცება ხალხი, რომელსაც არაფერი არ დაუშავებია. ის დაუახლოვდა სასახლის ჭიშკარს, რომელშიდაც სცხოვრობდა ესთერი, შეჩერდა და მოსთქვამდა. მოსამსახურეებმა მოახსენეს დედოფალს მარდოხეს მდგომარეობა. მაშინ ესთერი შეწუხდა ფრიად და გამოუგზავნა მარდოხეს ტანთსაცმელი და ბრძანა, რომ მარდოხეს ჩაეცვა სუფთად და შემოსულიყო ეზოში, რადგანაც უწმინდურად ჩაცმულ კაცს არ უშვებდნენ ჭიშკარს შიგნით. მაგრამ მარდოხემ არ მიიღო გამოგზავნილი ტანისამოსი. მაშინ დედოფალმა ხელმეორედ გაგზავნა მოსამსახურე მარდოხეს მწუხარების მიზეზის შესატყობად. მოსამსახურე წავიდა მარდოხესთან და გადასცა მას დედოფლის სიტყვები. მარდოხემ უამბო მოსამსახურეს ყველაფერი, რაც მომხდარიყო უკანასკნელ დროში ხელმწიფის სასახლეში, მისცა მას ესთერზე გადასაცემლად პირი მეფის უქაზისა ებრაელების გაწყვეტის შესახებ, და შეუთვალა დედოფალს, რომ მას გაეხსენებინა უწინდელი დრო, როდესაც იგი იზდებოდა მასთან, წასულიყო და ეთხოვა მეფისათვის მარდოხეს და მისი ხალხის შებრალება. მოსამსახურე დაბრუნდა და მოახსენა ესთერს, მარდოხეს ნათქვამი. მაშინ ესთერმა ხელ ახლად შეუთვალა მოსამსახურის (ასრაფის) პირით მარდოხეს: ყველამ იცის, რომ კანონით აღკრძალულია კაცთა და ქალთათვის მეფის ნებადაურთველად შესვლა შიგნით ეზოში და რომელიც დაარღვევს ამ კანონს, იგი სიკვდილით იქნება დასჯილი; ის დარჩება ოღონდ ცოცხალი, რომელსაც მეფე გაუწვდენს ოქროს კვერთხს; მე, აგერ გადის ოცდა ათი დღე, რაც არ დაუბარებივარ მეფეს». ამის პასუხად მარდოხემ შემოუთვალა ესთერს: «ნუ ჰფიქრობ, რომ მარტო შენ მთელი ხალხიდგან ცოცხალი დარჩე მეფის სასახლეში. ვინ იცის, ეგებო მისთვის მოგანიჭა ღმერთმა შენ დედოფლის ღირსება, რომ შენ დაიხსნა ჩვენი ხალხი ამ განსაცდელისაგან. თუ შენ ახლა გაჩუმდი და არ იზრუნე ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი ხალხის დაფარვა მოვა სხვა ადგილიდგან, და მაშინ შენც დაიღუპები და მამა შენის სახელიც). ამის შემდეგ ესთერმა შეუთვალა მარდოხეს: «შეჰკრიბე ყველა ებრაელნი, რომელნიც სცხოვრებენ ქალაქ სუსში; იმარხულეთ და ილოცეთ ყველამ ერთად სამ დღეს და სამ ღამეს, მეც და ჩემი მოსამხახურენიც ვიმარხულებთ; შემდეგ წავალ ხელმწიფესთან,—თუმცა კანონით დაშლილია მეფის მოუწოდებლად მასთან მისვლა—და შევეხვეწები ჩვენი ხალხის შესახებ. თუ ამ დღის წერა ვარ, დავიღუპო! მარდოხე წავიდა და მოიქცა ისე, როგორც ესთერმა დაბარა. ყველა ებრაელნი, სატახტო ქალაქის მცხოვრებნი, რადგანაც სიკვდილი თვალწინ ედგათ, შეიკრიბნენ ერთად. სამი დღე და სამი ღამე არასფერი არ უსვამთ, არც უჭამიათ და გაუწყვეტლად ევედრებოდნენ ღმერთს გამოხსნას. «უფალო, უფალო ყოვლისა მპყრობელო,—ევედრებოდა ღმერთს მარდოხე—რამეთუ ხელმწიფებასა შენსა შინა არს ესე ყოველი და არა არს წინა აღმდგომი ძალნი შენდა. ოდეს ინებო ცხოვრებად ისრაილისა. რამეთუ შენ შეჰქმენ ცანი და ქვეყანა და ყოველნი საკვირველნი ცასა ზედა და ქვეშე ქვეყანისა და უფალი ხარ ყოველთა, და არავინ არს, რომელი აღგიდგეს შენ უფალო: შენ ყოველი უწყი, და შენ იცი უფალო, რამეთუ არცა გინებათა არცა ამპარტავანებათა შინა, არცა ამაოთ დიდების მოყვარებათა შინა ვყოფდე. რომელი არა თაყვანის ვცე წინაშე ამპარტავანისა ამანისა. ვინაიდგან სათნო მიჩნდაცა ამბორის ყოფად და კვალთაცა ფერხთა მისთა ცხოვრებისათვის ისრაილისა. არამედ ესე ვყავ, რათა არა მივაგე დიდება კაცსა, უფროს დიდებისა ღვთისა: და არა თაყვანისცე არავის, თვინიერ შენსა, უფალო, ჩემისა, და არა ვყავ ესე ამპარტავნებითა; და აწ უფალო ღმერთო მეუფეო, ღმერთო აბრაამისაო, შეიწყალე ერი შენი, რამეთუ გვიმზერენ ჩვენ წარწყმედასა შინა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰსურთ წარწყმედად, რომელი დასაბამიდგან სამკვიდრებელისა შენისა. უგულებელ ჰყოფ ნაწილსა შენსა, რომელნი იხსნენ თავისა შენისათვის, ქვეყანისაგან ეგვიპტისა, ისმინე ვედრებისა ჩემისა, და ულხინე, სამკვიდრებელსა ზედა შენსა, და მოაქციე მწუხარება ჩვენი სიხარულად, რათა ცხოველნი ვაქებდეთ სახელსა შენსა, უფალო».

(შემდეგი იქნება).

რედაქციის პასუხი.

სოფლის ილორის სახალხო სკოლის მასწავლებლის ლეონტი ჯაშიდგან ჩვენ მივიღეთ ღია წერილი, რომელშიაც ავტორი გვკითხავს:

«შეუძლია თუ არა საერო პირთაგანს იქადაგოს განიცადენზედ ადგილობითი მწირველი მღვდლის ნება-დაურთველად, რომლისაგანაც ერთი კრინტი სიტყვა არ წარმოითქმება, თუმცა თავი კი მოსწონს ამ მღვდელს თავისი პატენტით»...

ეს წერილი რომ ღია არ იყოს, ჩვენ მას უპასუხოდ დავსტოვებდით, მაგრამ ეხლა, ძალა უნებურათ, უნდა პასუხი ვუგოთ.

ამ სოფლის მასწავლებელს თვითონაც უნდა კარგად ესმოდეს, რომ სიტყვა-მოძღვრების წარმოთქმა ეკკლესიაში ადგილობითი მღვდლის ნება დაურთველად, როდესაც და ვისაც ქადაგების იმტა მოუვა — არ შეიძლება რადგან ამას დიდი უწესოება მოჰყვება — და ზოგჯერ, შეიძლება, ბევრი რამ უმსგავსო და ხალხისთვის მავნებელიც წარმოითქვას კათედრიდამ. ან კი რად დასჭირდება ამ მასწავლებელს მღვდლის ნება დაურთველად ქადაგება?! თუ კარგი მქადაგებელია და საღმრთო წერილის მცოდნე ეს ყმაწვილი ბატონი, — ისეთი მღვდელი არ მოიძებნება, რომ მან ნება არ დართოს მას ამისთანა კეთილ და სასარგებლო საქმეზედ. აქ სხვა რამ უნდა იყოს მიზეზი! გარდა ამისა, ბატ. ჯაშს, თუ იგი თვითონ აპირებს ქადაგების შედგომას ეკკლესიაში, უნდა ახსოვდეს, რომ ის ჯერ თვითონ უნდა იყოს ღრმად მორწმუნე და ღვთის მოსავი კაცი, უნდა უყვარდეს მას ყოველი ეკკლესიური საგნები, უნდა კრძალვით და პატივის ცემით ეპყრობდეს მღვდლის ხარისხს... ბატ. ჯაშს რომ ეს უპირველესი მქადაგებლის თვისება აკლია, ეს თვით მისივე ღია წერილიდამ სჩანს. იგი მღვდლის ხარისხს დაცინვით «პატენტს» ეძახის, თითქო მღვდლობა ვაჭრული რამ, ანუ ალებ-მიცემობითი ხელობა იყოს. იქნება ვინმემ სთქვას, რომ ამ ერთი სიტყვიდამ სიდიდე დასკვნა არ შეიძლება გამოიყვანოსო.

მართალია, ერთ სიტყვას ამბობს მასწავლებელი მღვდლის ხარისხზე, მაგრამ ეს ერთი სიტყვაც ცხადათ გვიხატავს, თუ რა შეხედულობისაა იგი საეკკლესიო ამ საღმრთო საგნებზე და პირებზედ. ჩვენი აზრით ამისთანა კაცი არა თუ მქადაგებლად არ ვარგა ეკკლესიაში, არამედ სოფლის მასწავლებლადაც ხალხში მავნებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან სახალხო განათლებაში ეკკლესიის სიყვარულის შთაწერგვას, მღვდლის პატივის ცემას და საღმრთო სჯულის შეგნებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. — სწორედ საბრალოა ამ მასწავლებლის ხელში ჩვენი გლეხის შვილები!

მღვდლისშვილს გ. ლ. ვინც პირველი მღვდლის ადგილზე არის ნაკურთხი, პირველად დგომაც წირვის დროს მას ეკუთვნის. ვიდრემდის მღვდელი თავის მრევლს არ ჩაიბარებს, მანობამდისინ არც წილი ერგება შემოსავლიდამ. თუ მღვდელი ჯერ კიდევ ნაკურთხი არ იყო და ამ დროს მეორე მღვდელი მმართავდა მრევლს, რასაკვირველია, მასვე ერგება შემოსავალიც და ხაზინიდგან დანიშნული ჯამაგირი უკანვე ხაზინაში უნდა დაბრუნდეს.

შ ი ნ ა ა რ ს ი: კურთხევა თეკლათის დედათა მონასტრის ეკკლესიისა პირველს ოქტომბერს 1889 წ. (სამეგრელოში). — პირველი ოქტომბერი მცხეთაში. — «მწყემსის» კორრესპონდენცია ოზურგეთის მაზრიდამ. — სამების ტაძარი სოფელ ხაშმას მახლობლად. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ქსთერი. — რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე.

Доз. цензурою. 30 октября 1889 г.

Собственная типографія редакціи.